

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი

ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება

Business Administration

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: ია ჯიმშიტაშვილი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი, ტელ. (+995) 350 23-3671, ელ. ფოსტა: dep.eco@tesau.edu.ge.

აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (I საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: ძირითადი

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

Bachelor of Business Administration

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, აქედან, 120 კრედიტი გათვალისწინებულია ძირითად სპეციალობაზე, 40 კრედიტი ეთმობა საუნივერსიტეტო საგნებს, 10 კრედიტი შესავალ კურსებს, ძირითადი სპეციალობის საგნებს - 82 კრედიტი, არჩევით მოდულებს - 20 კრედიტი, პროგრამის არჩევით საგნებს - 8 კრედიტი, თავისუფალ არჩევითი საგნებს საუნივერსიტეტო მასშტაბით - 10 კრედიტი, 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას, 60 კრედიტი – დამატებით (Minor) სპეციალობას ან თავისუფალ არჩევით საგნებს. (იხ. სასწავლო გეგმა).

ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, სააუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით მესამედს, ხოლო ორი მესამედი – დამოუკიდებელი მუშაობის წილად მოდის. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 თხუთმეტკვირიანი სემესტრი) და იგი ემყარება ცალკეულ საგნებს და მოდულებს. სალექციო კურსები, როგორც წესი, 5 და 4 კრედიტიანია და გრძელდება ერთი სასწავლო სემესტრის (15 კვირის) განმავლობაში.

სწავლების ფორმატი: ლექცია, პრაქტიკული, ჯგუფებში მუშაობა, სემინარი, შუალედური და დასკვნითი გამოცდა, საბაკალავრო ნაშრომის დაცვა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე სტუდენტი დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით (გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევებისა)).

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ბაკალავრის პროფესიული ცოდნით აღჭურვა და ისეთი უნარების განვითარება, რომელიც მას ბიზნესის ეფექტური დაგეგმვის, კონტროლის და ადმინისტრირების საშუალებას მისცემს; აგრეთვე პროგრამის მიზანია მმართველობითი, ორგანიზატორული, ეკონომიკური, საწარმოო, საფინანსო, მარკეტინგული საქმიანობის შესახებ თეორიული ცოდნის ათვისება; საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, კერძო თუ სახელმწიფო სექტორში მაღალი დონის, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, აღჭურვილი მმართველობითი საქმიანობის გაძღოლის უნარ-ჩვევებით.

პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს კერძო თუ სახელმწიფო სექტორში არსებულ ორგანიზაციებში.

სწავლის შედეგი: საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარ-ჩვევები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით:

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს.	▪ ფლობს თეორიულ ცოდნას თანამედროვე ბიზნესის კანონებისა და კანონზომიერებების შესახებ; ▪ გააჩნია თეორიული ცოდნა ბიზნესის შექმნის, მართვის და განვითარების შესახებ; ▪ აქვს ბიზნესის მართვის ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ორგანიზაციული და ადმინისტრაციული მეთოდების თეორიული ცოდნა; ▪ ფლობს თეორიულ ცოდნას ადამიანური რესურსების, ფინანსური რესურსების, დროის რესურსების ეფექტურად გამოყენების შესახებ; ▪ გააჩნია საზოგადოებასთან ურთიერთობების, ბიზნეს-კომუნიკაციების და
-------------------------------------	--	---

		მოლაპარაკებების წაყვანის თანამედროვე თეორიული ცოდნა;
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად, სხვადასხვა სახის პროექტების განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად	▪ ბიზნეს ტერმინოლოგიის ცოდნა და პრაქტიკაში ფართოდ გამოყენების უნარი; ▪ ფლობს ეკონომიკური და სხვა სახის მონაცემების მოძიების, დამუშავების და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით პრეზენტირების უნარს; ▪ შეუძლია ორგანიზაციის კრიზისული მდგომარეობის იდენტიფიცირება და შესაბამისი მიდგომების შემუშავება სიტუაციის გამოსასწორებლად; ▪ შეუძლია სწორი საკადრო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; ▪ შეუძლია ორგანიზაციებში ეფექტური დაგეგმვის, ორგანიზების, სტიმულირების და კონტროლის პროცესების განხორციელება; ▪ შეუძლია ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე სწორი ურთიერთობების დამყარება საზოგადოებასთან, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენებით.
დასკვნის უნარი	შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.	▪ პრობლემის გადასაწყვეტად შესაბამისი ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და ადეკვატური დასკვნის გაკეთების უნარი; ▪ თანამედროვე სამამულო და საერთაშორისო ბიზნესის სფეროში შექმნილი სიტუაციების ანალიზის და დასკვნის უნარი; ▪ შეუძლია ორგანიზაციაში

		პრობლემის იდენტიფიცირება, გაანალიზება, ეფექტური ალტერნატივების დასმა და საუკეთესოს შერჩევა; ▪ შეუძლია შეაფასოს ორგანიზაციის ადამიანური რესურსების შრომა, შეიმუშაოს მათი სტიმულირების და განვითარების ეფექტური გზები; ▪ შეუძლია საკუთარი თუ გუნდის დროის დაგეგმარებისას გადაანაწილოს პრიორიტეტები და გამოყოს პირველ და მეორეხარისხოვანი სამუშაოები.
კომუნიკაციის უნარი	იდებუბის, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.	▪ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა/გამოყენების და ახალი ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისების უნარი ბიზნესის სფეროში; ▪ შეუძლია ორგანიზაციის პერსონალთან, კლიენტებთან, მომწოდებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კორექტული კომუნიკაციების დამყარება, განვითარება და შენარჩუნება; ▪ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას შეუძლია საქმიან საკითხებზე მშობლიურ ნაწილობრივ უცხო ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ბიზნეს-ტერმინოლოგიის გამოყენებით.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა	▪ შეუძლია სწავლა გამოცდილი მეცნიერ-ეკონომისტების და პრაქტიკოსი ბიზნესმენების თეორიულ და პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით; ▪ ბიზნესის სფეროში პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო სამეცნიერო

		მასალების მოძიების, დამუშავების და შესწავლის უნარი; ▪ არჩეულ მიმართულებაში საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის და სწავლის შემდგომ საფეხურზე ასევე დამოუკიდებლად გაგრძელების უნარი
ღირებულებები	ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.	▪ იცნობს და პატივს სცემს პროფესიონალური საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს; ▪ აღიარებს ეროვნულ და საერთაშორისოდ აღიარებულ ეთიკურ ნორმებს და პროფესიონალურ საქმიანობას ეწევა მათი დაცვით.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები: სასწავლო კურსების შესწავლისას მოხდება სტუდენტების ჩართვა ლექციებსა და სემინარებში; სტუდენტების მიერ ყოველკვირეული დავალებების მომზადება და მათი განხილვა. სწავლა წარიმართება ინტერაქტიური მეთოდებით; გამოიყენება სემინარები, პრეზენტაციები, დისკუსიები, დებატები, ტექსტების და სტატიების ანალიზი, სიტუაციების ანალიზი (ქეიზ სთადი), მუშაობა მცირე ჯგუფებში, სტუდენტების მიერ ერთმანეთის პირადი და ჯგუფური შეფასება და სხვ.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტის პროფესორ-თანამშრომელთა სალექციო კურსები და რიდერები, უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრი და ბიბლიოთეკა.

დასკმების სფერო: კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს კერძო თუ სახელმწიფო სექტორებში (კომერციული ბანკები, სასტუმროები, ღვინის ქარხნები, მიკრო საფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო ორგანიზაციები, შესაბამისი სახელმწიფო სამსახურები თუ რეგიონალური სტრუქტურული ერთეულები და ა.შ.)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდის კომპონენტების ქულათა ჯამი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვროს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვროს შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);

2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);

3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების თითოეული კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ერთი სახის შეფასებით. დაუშვებელია, მაგალითად, მეორე კომპონენტის 20 ქულიდან სტუდენტი 10 ქულით შეფასდეს საშინაო დავალების შესრულებით, ხოლო მეორე 10 ქულით – სემინარზე გამოსვლით.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს წერითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს შუალედური წერით, საკონტროლო წერით, ტესტირებით და სხვა, იგი ტარდება უნივერსიტეტის ერთიანი საგამოცდო ცენტრის მიერ.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ოთხჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს აქტივობებით სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებზე, წერითი და/ან ზეპირი საშინაო დავალებებით, ლაბორატორიული სამუშაოებით და სხვა.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტის პირველი შეფასება – მაქსიმუმ 15 ქულა და მეორე კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა დაიწეროს არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდეს შუალედური შეფასებების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცეს ფაკულტეტის დეკანატს.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ერთჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს პრეზენტაციაზე მოხსენებით, რეფერატის წარდგენით და სხვა.

პრეზენტაციით ან რეფერატით შეფასების შემთხვევაში, სემესტრის დასაწყისში შედგეს სტუდენტთა პრეზენტაციების ან რეფერატების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდეს სტუდენტებთან. სასურველია, რომ შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევდეს პრეზენტაციის ან რეფერატის თემას. მათი შეფასება განისაზღვროს შემდეგი კომპონენტების დაცვით:

- 1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით.
- 2) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით.
- 3) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდეს არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცეს ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შედის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცეს სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ მან თვითონ გადაწყვიტოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხი, რის შესახებაც დროულად აცნობოს ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდეს წერიტი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით, ხოლო შედეგები გამოცხადდეს არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდეს უწყისში და გადაეცეს ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალობის რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილოს სტუდენტის ნაწერი. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს იგი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმები, შეფასების ფორმები და ჩატარების სავარაუდო თარიღები დეტალურადაა გაწერილი სასწავლო კურსის სილაბუსში, არის გამჭვირვალე და სტუდენტებისათვის გასაგები. რომელიმე თარიღის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტებს წინასწარ მიეწოდოს ინფორმაცია.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

სპეციალობის არჩევანი: ძირითადი სპეციალობის არჩევა ხდება სტუდენტის მიერ პირველი სემესტრის ბოლოს და პროგრამა მუშაობას იწყებს მეორე სემესტრიდან.

ძირითად სპეციალობაზე სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში განისაზღვრება 30 სტუდენტით. შესაძლებელია რამოდენიმე ჯგუფის შექმნა. კონკურსის შემთხვევაში ჯგუფის დაკომპლექტებისას უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტს, ვისაც აქვს შედარებით მაღალი საერთო აკადემიური მოსწრების საშუალო არითმეტიკული ქულა.

სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები): იხ. დამატებით.

პროგრამის ხელმძღვანელის CV: იხ. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.tesau.edu.ge)

ადამიანური რესურსები:

1. ასოცირებული პროფესორი ა. ჯავახიშვილი
2. ასოცირებული პროფესორი ნ. რინკიაშვილი
3. ასოცირებული პროფესორი ნ. ხიზანიშვილი
4. ასოცირებული პროფესორი ი. ჯიმშიტაშვილი
5. ასოცირებული პროფესორი მ. ზაქარიაშვილი
6. ასოცირებული პროფესორი გ. სიბაშვილი
7. ასოცირებული პროფესორი ნ. კახაშვილი
8. ასოცირებული პროფესორი ს. ოხანაშვილი
9. ასისტენტ-პროფესორი ვ. ხიზანიშვილი
10. ასისტენტ-პროფესორი თ. ბაჩიაშვილი
11. ასისტენტ-პროფესორი ე. ელიზბარაშვილი
12. ასისტენტ-პროფესორი ა. ჭანკოტაძე
13. მოწვეული მასწავლებელი ა. თეგერაშვილი
14. მოწვეული მასწავლებელი ე. უთალიშვილი
15. მოწვეული მასწავლებელი მ. ალადაშვილი
16. მოწვეული მასწავლებელი ც. ჭინჭარაშვილი
17. მოწვეული მასწავლებელი თ. შაშვიაშვილი
18. მოწვეული მასწავლებელი ნ. გალახვარიძე
19. მოწვეული მასწავლებელი ს. ტატულიშვილი
20. მოწვეული დოქტორი რ. ფირანიშვილი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა: „ბიზნესის ადმინისტრირების“ სასწავლო გეგმა

#	მოდული/სასწავლო კურსი	სტატუსი	კრედიტი	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით								საათების განაწილება				სულ საათები	საათების რაოდენობა კვირაში		
				I ს.წ.		II ს.წ.		III ს.წ.		IV ს.წ.		საკონტაქტო			დამოუკიდებელი		ლექცია	სემინარი	სულ:
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	ლექცია	სემინარი	სულ:					
საუნივერსიტეტო საგნები - 40 კრედიტი																			
1.	უცხო ენა	სავალდ.	30	5	5	5	5	5	5			30	30	60	65	125	2	2	4
2.	აკადემიური წერა	სავალდ.	5	5								15	15	30	95	125	1	1	2
3.	საინფ. ტექნოლოგიები	სავალდ.	5	5								15	15	30	95	125	1	1	2
შესავალი კურსები - 10																			
1.	შესავალი კურსი ეკონომიკაში	სავალდ.	5	5								15	15	30	95	125	1	1	2
2.	შესავალი კურსი მათემატიკაში	სავალდ.	5	5								15	15	30	95	125	1	1	2
		მირითადი მოდული/სპეციალობის სავალდებულო საგნები - 82																	
3.	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1	სავალდ.	5		5							15	30	45	80	125	1	2	3
4.	ფინანსების თეორია	სავალდ.	5		5							15	30	45	80	125	1	2	3

5.	მენეჯმენტი I	სავალდ.	5		5							15	30	45	95	125	1	2	3
6.	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები I	სავალდ.	5		5							15	30	45	80	125	2	1	3
7.	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2	სავალდ.	5			5						15	30	45	80	125	1	2	3
8.	მენეჯმენტი II	სავალდ.	5			5						15	30	45	95	125	1	2	3
9.	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები II	სავალდ.	5			5						15	30	45	80	125	2	1	3
10.	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	სავალდ.	5				5					15	30	45	80	125	1	2	3
11.	საბუღალტრო აღრიცხვა	სავალდ.	5				5					15	30	45	80	125	1	2	3
12.	სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის	სავალდ.	5					5				15	30	45	80	125	1	2	3
13.	მიკროეკონომიკა	სავალდ.	5					5				15	30	45	80	125	1	2	3
14.	მცირე ბიზნესის ორგანიზება	სავალდ.	4					4				15	15	30	70	100	1	1	2
15.	ფინანსური მენეჯმენტი	სავალდ.	5					5				15	30	45	80	125	1	2	3
16.	მაკროეკონომიკა	სავალდ.	5						5			15	30	45	80	125	1	2	3
17.	ბიზნეს-კომუნიკაციები	სავალდ.	4						4			15	15	30	70	100	1	1	2
18.	მარკეტინგი	სავალდ.	4						4			15	15	30	70	100	1	1	2
19.	ადამიანური რესურსების მართვა	სავალდ.	5						5			15	30	45	80	125	1	2	3

არჩევითი მოდულები (20 კრედიტი) – სტუდენტი ირჩევს ერთ მოდულს

მოდული 1. ფინანსები და საბუღალტრო აღრიცხვა. 20 კრედიტი																				
1.	ფინანსური აღრიცხვა	სავალდ.	5							5		15	30	45	80	125	1	2	3	
2.	კორპორაციის ფინანსები	სავალდ.	5							5		15	30	45	80	125	1	2	3	
3.	გადასახადები და საგადასახადო აღრიცხვა	სავალდ.	5							5		15	30	45	80	125	1	2	3	
4.	მენეჯერული აღრიცხვა	სავალდ.	5								5	15	30	45	80	125	1	2	3	
მოდული 2. მენეჯმენტი. 20 კრედიტი																				
1.	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	სავალდ.	5							5		15	30	45	80	125	1	2	3	
2.	ორგანიზაციული მართვა	სავალდ.	5							5		15	15	30	95	125	1	1	2	
3.	ბიზნეს ინფორმატიკა	სავალდ.	5							5		15	30	45	80	125	1	2	3	
4.	ანტიკრიზისული მართვა	სავალდ.	5								5	15	15	30	95	125	1	1	2	
არჩევითი საგნები - 8 კრედიტი																				
1.	დროის მენეჯმენტი	არჩ.	4								4		15	15	30	70	100	1	1	2
	ტურიზმის მენეჯმენტი																			
	ლოჯისტიკა																			
2.	ბიზნეს ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	არჩ.	4										15	15	30	70	100	1	1	2
	საზოგადოებასთან ურთიერთობები (PR) მენეჯერთათვის																			

34	ლონისძიებების მართვა	სავალდ.	10					5	5									
	ბიზნეს ეთიკა																	
	თავისუფალი კრედიტები																	
35	minor/თავისუფალი არჩევითი	სავალდ.	60			10	10	10	10	10								
36	საბაკალავრო ნაშრომი/პრაქტიკა	სავალდ.	10							10	10		10	240	250			
37	სულ:		240	25	25	30	25	34	38	34	29	700	735	1435	4565	6000		

დამატებითი პროგრამა: „ბიზნესის ადმინისტრირების” სასწავლო გეგმა

#	მოდული/სასწავლო კურსი	კრედიტი	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით						საათების განაწილება				სულ საათები	საათების რაოდენობა კვირაში		
			II ს.წ.		III ს.წ.		IV ს.წ.		საკონტაქტო			დამოუკიდებელი		ლექცია	სემინარი	სულ:
			III	IV	V	VI	VII	VIII	ლექცია	სემინარი	სულ:					
დამატებითი სპეციალობის სასწავლო კურსები - 60 კრედიტი																
1.	ფინანსების თეორია	5	5						15	30	45	80	125	1	2	3
2.	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	5	5						15	30	45	80	125	2	1	3
3.	მენეჯმენტი 1	5		5					15	30	45	80	125	1	2	3
4.	ბიზნეს-კომუნიკაციები	5		5					15	15	30	95	125	1	1	2
5.	მენეჯმენტი 2	5			5				15	30	45	80	125	1	2	3
6.	ბიზნეს ინფორმატიკა				5				15	15	30	95	125	1	1	2

7.	ფინანსური აღრიცხვა	5				5			15	30	45	80	125	1	2	3
8.	გადასახადები და საგადასახადო აღრიცხვა	5				5			15	30	45	80	125	1	2	3
9.	ფინანსური მენეჯმენტი	5					5		15	30	45	80	125	1	2	3
10.	ადამიანური რესურსების მართვა	5					5		15	30	45	80	125	1	2	3
11.	მენეჯერული აღრიცხვა	5						5	15	30	45	80	125	1	2	3
12.	ანტიკორიზისული მართვა / რისკ მენეჯმენტი	5						5	15	15	30	95	125	1	1	2
სულ:		60	10	10	10	10	10	10	180	210	390	1110	1500			

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: "ბიზნესის ადმინისტრირების" სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი

#	კურსის დასახელება	კოდი	სემესტრი	კრედიტი	სტატუსი	პრერეკვიზიტი	ლექტორები [ვინაობა და თანამდებობა]	ძირითადი ლიტერატურა
საუნივერსიტეტო საგნები - 40 კრედიტი								
1.	უცხო ენა		I- VI	30	სავალდ.	წინა სემესტრში გავლილი უცხო ენა	ასისტენ-პროფესორი, აკად. დოქტორი ნ. გაბაშვილი	Evans,V; Dooley J. <i>Enterprise</i> , 2,3. Express Publishing. Evans,V; Dooley J. <i>Enterprise</i> ,2,3 <i>Workbook</i> . Express Publishing. Blanchard. K. , Root. C. (2007). <i>For your information</i> 1. Pearson Longman. Azar. B. S. (2003). <i>Fundamentals of English Grammar</i> . Mann, M.& Taylore-knowles. S., (2011) <i>Destination B1 (Grammar&Vocabulary)</i> , Macmillan
2.	აკადემიური წერა	U. 1. AW	IV	5	სავალდ.	-	ასოც. პროფ. ნ. კახაშვილი	1. წულაძე, ლ. (2006). <i>აკადემიური წერა</i> . თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. 2. გოჩიაშვილი, ქ., შაბაშვილი, გ. და შარაშენიძე, ნ. (2007). <i>აკადემიური წერა</i> . თბილისი: გამომცემლობა 'საიმედო'. 3. კაჭარავა, ლ., მარწყვიშვილი, ხ. და ხეჩუაშვილი, ლ. (2007). <i>აკადემიური წერა დამწყებთათვის</i> . თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა სერია.
3.	საინფორმაციო ტექნოლოგიები		II	5	სავალდ.	-	ასოც. პროფ. მ. ზაქარიაშვილი	1. მ. ზაქარიაშვილი, ინფორმატიკის შესავალი, სალექციო მასალები, 2010 2. ჯ. გოჯიაშვილი, საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძვლები (Windows) თბილისი. 2010 3. ო. ხუციშვილი, ინფორმატიკა. ნაწილი I. ტექსტური რედაქტორი. ელექტრონული ცხრილები 2008
შესავალი კურსები - 10 კრედიტი								
4.	შესავალი კურსი ეკონომიკაში		I	5	სავალდ.	-	ასოც. პროფ. ა. ჯავახიშვილი	

#	კურსის დასახელება	კოდი	სემესტრი	კრედიტი	სტატუსი	პრერეკვიზიტი	ლექტორები [ვინაობა და თანამდებობა]	ძირითადი ლიტერატურა
5.	შესავალი კურსი მათემატიკაში		I	5	სავალდ.	-	ა. ჭანკოტაძე	
ძირითადი მოდული/სპეციალობის სავალდებულო საგნები - 82 კრედიტი								
1.	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1	Z.1.M.33	II	5	სავალდ.	-	ა. ჭანკოტაძე	დ. ნატროშვილი, ლ. გიორგანაშვილი, მ. უსანეთაშვილი, გ. ჯაშიაშვილი, მათემატიკა ეკონომისტებისათვის, გამომცემლობა გლობალ-პრინტი, თბილისი, 1999.
2.	ფინანსების თეორია	S.1.M.09	II	5	სავალდ.	-	ასოც. პროფ. ნ. რინკიაშვილი	კაკულია, რ. (2007). ფინანსების თეორია. თბილისი: თერგი.
3.	მენეჯმენტი I	S.1.M.01	II	5	სავალდ.	-	ასოც. პროფ. ა. ჯავახიშვილი	ტულუში, მ. და ყირირმლიშვილი, ნ. (2005), <i>მენეჯმენტის საფუძვლები</i> , თბ.
4.	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები I	S.1.M.06	II	5	სავალდ.	-	ასოც. პროფ. ნ. რინკიაშვილი	1. სამადაშვილი, უ. (2007). ბიზნესის საფუძვლები. თბილისი: უნივერსალი 2. შენგელია, თ. (2007) თანამედროვე ბიზნესის საფუძვლები. თბილისი: ლიო.
5.	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2	Z.1.M.34	III	5	სავალდ.	მათემატიკა ეკონომისტები სათვის 1	ა. ჭანკოტაძე	დ. ნატროშვილი, ლ. გიორგანაშვილი, მ. უსანეთაშვილი, გ. ჯაშიაშვილი, მათემატიკა ეკონომისტებისათვის, გამომცემლობა გლობალ-პრინტი, თბილისი, 1999.

#	კურსის დასახელება	კოდი	სემესტრი	კრედიტი	სტატუსი	პრერეკვიზიტი	ლექტორები [ვინაობა და თანამდებობა]	ძირითადი ლიტერატურა
6.	მიკროეკონომიკა	S.1.E.32	III	5	სავალდ.	-	ასოც. პროფ. ნ. ხიზანიშვილი	vaniSvili, m., meqvabiSvili, a., (2007), <i>ekonomikis safuZvlebi</i> , wigni 1, mikroekonomika. Tb.
7.	მენეჯმენტი II	S.1.M.02	III	5	სავალდ.	მენეჯმენტი I	ასოც. პროფ. ა. ჯავახიშვილი	1. ბარათაშვილი, ე., ქოქიაური, ლ., (2010), <i>მენეჯმენტის პრინციპები</i> , თბილისი 2. ტულუმი, მ., და ყირიმლიშვილი, ნ. (2005) <i>მენეჯმენტის საფუძვლები</i> , თბ.
8.	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები II	S.1.M.05	III	5	სავალდ.	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები I	ასოც. პროფ. ნ. რინკიაშვილი	1. შენგელია, თ. (2008). ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები. თბილისი: ახალი საქართველო. 2. შენგელია, თ. (2007). თანამედროვე ბიზნესის საფუძვლები. თბილისი. ლიო.
9.	მაკროეკონომიკა	S.1.E.33	IV	5	სავალდ.	მიკროეკონომიკა	ასოც. პროფ. ნ. ხიზანიშვილი	1. samadaSvili u., (2010), <i>ekonomika</i> , Tb., “universali” 2. kempbeli r., makkoneli s., briu l., (1993), <i>ekonomiksi, naw. I- II. Tb. saqprofгами</i>
10.	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	Z.1.M.20	IV	5	სავალდ.	მათემატიკა ეკონომისტები სათვის 2	ასისტ. პროფ. ა. ჭანკოტაძე	1. ი. სხირტლაძე, თ. ტულუმი, ა. ოსიძე, ა. ცივამე, მ. ნადარეიშვილი, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა. თბილისი განათლება 1990. 2. ა. ედიბერიძე, ზ. ნაცვლიშვილი, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ელემენტები. 3. ნ. ლაზარევა, მ. მანია, გ. მარი, ა. მოსიძე, ა. ტორონჯაძე, თ. ტორონჯაძე, თ. შერვაშიძე. ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა. ეკონომისტებისათვის. თბილისი. რაზმადის სახელობის მათ. ინსტიტუტი. 2000.

#	კურსის დასახელება	კოდი	სემესტრი	კრედიტი	სტატუსი	პრერეკვიზიტი	ლექტორები [ვინაობა და თანამდებობა]	ძირითადი ლიტერატურა
11.	საბუღალტრო აღრიცხვა	S.1.E.01	IV	5	სავალდ.	ფინანსების თეორია	ასოც. პროფ. ნ. რინკიაშვილი	ხორავა, ა., კვატაშიძე, ნ., სრესელი, ნ., გოგრიჭიანი, გ. (2005). საბუღალტრო აღრიცხვა. თბილისი: თსუ.
12.	მარკეტინგი	S.1.M.03	V	4	სავალდ.	მენეჯმენტი II	ასოც. პროფ. ნ. ხიზანიშვილი	ჯავახიშვილი, რ., ოქრუაშვილი, ნ., და ხარაზიშვილი, ნ. (2000) მარკეტინგის საფუძვლები (სალექციო კურსი), თბ.
13.	სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის	S.1.E.19	V	5	სავალდ.	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	ასოც. პროფ. ნ. ხიზანიშვილი	პოპულარული სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. სახელმძღვანელო, ბ. გაბიძაშვილის რედაქციით, 2008 თბ. „უნივერსალი“
14.	მცირე ბიზნესის ორგანიზება	S.1.M.31	V	4	სავალდ.	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები II	ასოც. პროფ. ნ. რინკიაშვილი	ჰოვარდ პოთით, ჯ., (2010) როგორ დავიწყოთ საკუთარი ბიზნესი.
15.	ფინანსური მენეჯმენტი	S.1.M.13	V	5	სავალდ.	ფინანსების თეორია, მენეჯმენტი II	ასისტენტ-პროფესორი მ. ალადაშვილი	caava, g., biwaZe, b., lipartia z. (2006), <i>finansuri menejmenti</i> , saxelmZRvanelo, Tb. “afxazeTis mecnierebaTa akademia”.
16.	ბიზნეს-კომუნიკაციები	S.1.M.30	VI	4	სავალდ.	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები II	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი	შატაკიშვილი, ლ., მიქაძე, ზ., ბესტავაშვილი, ბ. (2007), ეფექტური ბიზნეს-კომუნიკაცია.

#	კურსის დასახელება	კოდი	სემესტრი	კრედიტი	სტატუსი	პრერეკვიზიტი	ლექტორები [ვინაობა და თანამდებობა]	ძირითადი ლიტერატურა
17.	ადამიანური რესურსების მართვა	S.1.M.12	VI	5	სავალდ.	მენეჯმენტი II	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი	პაიჭაძე, ნ. (რედ.), (2009), <i>ადამიანური რესურსების მართვა</i> . თბილისი: სამთავისი
არჩევითი მოდული - ფინანსები და საბუღალტრო აღრიცხვა 20 კრედიტი								
1.	ფინანსური აღრიცხვა	S.1.E.04	VII	5	სავალდ.	საბუღალტრო აღრიცხვა	მოწვ. მასწ. ა. თეგერაშვილი	ხორავა, ა., კვატაშიძე, ნ., სრესელი, ნ., გოგრიჭიანი, ზ., (2008). <i>ბუღალტრული აღრიცხვა (თეორია, ფინანსური აღრიცხვა, ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით)</i> . თბ. "მერიდიანი".
2.	კორპორაციის ფინანსები	S.1.M.14	VII	5	სავალდ.	ფინანსების თეორია	ასისტენტ-პროფესორი მ. ალადაშვილი	კაკულია, რ., ბახტაძე, ლ., თუთბერიძე, გ., (2009), <i>კორპორაციის ფინანსები</i> , თბილისი. ცაავა, გ., ბიწაძე, ბ., ლიპარტია ზ. (2006), <i>ფინანსური მენეჯმენტი, სახელმძღვანელო</i> , თბ. "აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია".
3.	გადასახადები და საგადასახადო აღრიცხვა	S.1.E.19	VII	5	სავალდ.	ფინანსების თეორია	მოწვეული მასწავლებელი ნ. გალახვარიძე	1. როგავა ზ., და ქავთარაძე, ნ. (2007). <i>საგადასახადო დაბეგვრა</i> . თბილისი : შპს „დანი“ 2. ბახტაძე, ლ, კაკულია, რ., და ჩიკვილაძე, მ. (2007). <i>საგადასახადო საქმე</i> . თბილისი: ვერჟე

#	კურსის დასახელება	კოდი	სემესტრი	კრედიტი	სტატუსი	პრერეკვიზიტი	ლექტორები [ვინაობა და თანამდებობა]	ძირითადი ლიტერატურა
4.	მენეჯერული აღრიცხვა	S.1.E.08.	VIII	5	სავალდ.	ფინანსური აღრიცხვა	მოწვ. მასწ. თ. შაშვიასვილი	1. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია. (2005) მმართველობითი აღრიცხვა. თბილისი. 2. მიქაძე, პ. (2009). მმართველობითი აღრიცხვა. II გამოცემა. თბილისი.
არჩევითი მოდული - მენეჯმენტი 20 კრედიტი								
1.	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	S.1.M.15	VII	5	სავალდ.	ბიზნესის ადმინისტრირება ს საფუძვლები II მენეჯმენტი II	ასოც. პროფ. ა. ჯავახიშვილი	ერქომაიშვილი, გ., (2007) ბიზნესი (ფორმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები), თბ.
2.	ორგანიზაციული მართვა	S.1.M.09	VII	5	სავალდ.	მენეჯმენტი II	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი	ბარათაშვილი, ე., თაკალანძე, ლ., და აბრალავა, ა. (2007) მენეჯმენტი და ადმინისტრირება, თბ.
3.	ბიზნეს ინფორმატიკა	Z.1.E.43	VII	5	სავალდ.	საინფორმაციო ტექნოლოგიები	ასოც. პროფ. მ. ზაქარიაშვილი	m. maRraZe, ekonomikuri informatika, Tbilisis universitetis gamomcemloba, Tbilisi, 2002. m. zaqariaSvili, Microsoft Office - biznesis partniori, praqtikuli mecadineobebis damxmare saxelmZRvanelo, gamomcemloba "universali", Tbilisi. 2009.
4.	ანტიკრიზისული მართვა	S.1.M.11	VIII	5	სავალდ.	მენეჯმენტი II	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი	ჭარკოვსკაია, ე.პ., ბროდსკი, ბ.ე., ბროდსკი, ი.ბ. (2009). ანტიკრიზისული მართვა. მოსკოვი: ომეგა-ელ.

#	კურსის დასახელება	კოდი	სემესტრი	კრედიტი	სტატუსი	პრერეკვიზიტი	ლექტორები [ვინაობა და თანამდებობა]	ძირითადი ლიტერატურა
5.	რისკ მენეჯმენტი		VIII	5	არჩ.	მენეჯმენტი II	ასისტ. პროფ. მ. ალადაშვილი	რიდერი
არჩევითი საგნები - 8 კრედიტი								
1	დროის მენეჯმენტი	S.1.M.08	IV	4	არჩ.	მენეჯმენტი II	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი	არხანგელსკი, გ. ა. (რედ.). (2008). თაიმ-მენეჯმენტი. მოსკოვი: მარკეტი.
	ტურიზმის მენეჯმენტი	S.1.M.16	IV	4	არჩ.	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები II მენეჯმენტი II	ასოც. პროფ. ნ. ხიზანიშვილი	SublaZe g, dolikaSvili l, jolia g da CekuriSvili n. (2008). <i>turizmis menejmenti</i> . gamomcemloba „universali” Tb. wigni
	ლოჯისტიკა		VI	4	არჩ.	მარკეტინგი	ასოც. პროფ. ნ. ხიზანიშვილი	რიდერი
2.	ბიზნეს ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	S.1.M.22	VI	4	არჩ.	მენეჯმენტი II	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი	ჯოლია, გ., (2006), ბიზნეს-ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება, თბილისი.
	საზოგადოებასთან ურთიერთობები (PR) მენეჯერთათვის	S.1.M.07	VI	4	არჩ.	მენეჯმენტი II	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი	კაპანაძე, ლ., ხახუტაშვილი, ე., (2003), ურთიერთობა საზოგადოებასთან, თბილისი.

#	კურსის დასახელება	კოდი	სემესტრი	კრედიტი	სტატუსი	პრერეკვიზიტი	ლექტორები [ვინაობა და თანამდებობა]	ძირითადი ლიტერატურა
	ბიზნეს ეთიკა	S.1.M.21	VI	4	არჩ.	ბიზნესის ადმინისტრირ ების საფუძვლები II	ასოც. პროფ. გ. სიბაშვილი	1. ქირთაია, მ. (2008). <i>ბიზნესის ეთიკა</i> . თბილისი: „ნეკერი“. 2. ჯოლია, მ. (2002). <i>საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობები</i> . თბილისი: „მეცნიერება“.
	ღონისძიებების მართვა		VI	4	არჩ.	ბიზნესის ადმინისტრირ ების საფუძვლები II	ასოც. პროფ. ი. ჯიმშიტაშვილი	რიდერი

სწავლის შედეგების რუქა:

სასწავლო კურსები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
მიკროეკონომიკა	✓	✓	✓	✓	✓	-
მარკოეკონომიკა	-	✓	✓	✓	✓	-
მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1	✓	✓	✓	✓	✓	✓
მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2	✓	✓	✓	✓	✓	✓
საბუღალტრო აღრიცხვა	✓	✓	✓	✓	✓	-
ფინანსების თეორია	✓	✓	✓	-	✓	-
მენეჯმენტი I	✓	✓	✓	-	✓	-
სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის	✓	-	✓	✓	-	✓
ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები I	✓	-	✓	✓	-	✓
მარკეტინგი	✓	-	✓	-	-	✓
მენეჯმენტი II	✓	✓	✓	-	✓	-
ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები II	✓	✓	✓	-	✓	-
ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	✓	✓	✓	✓	-	✓

სასწავლო კურსები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	-	✓	✓	✓	✓	-
ბიზნეს ინფორმატიკა	✓	✓	✓	-	✓	-
ბიზნეს-ეთიკა	✓	✓	✓	✓	✓	✓
მცირე ბიზნესის ორგანიზება	✓	✓	✓	✓	✓	-
ფინანსური აღრიცხვა	✓	✓	✓	-	✓	-
კორპორაციის ფინანსები	✓	✓	-	-	✓	-
მენეჯერული აღრიცხვა	✓	✓	✓	-	✓	-
გადასახადები და საგადასახადო აღრიცხვა	✓	✓	✓	-	✓	-
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	✓	✓	-	✓	✓	-
ორგანიზაციული მართვა	✓	✓	-	✓	✓	-
ფინანსური მენეჯმენტი	✓	✓	-	✓	✓	-
ანტიკრიზისული მართვა	✓	✓	-	-	✓	-
დროის მენეჯმენტი	✓	✓	✓	-	✓	-
ტურიზმის	✓	-	-	-	✓	✓

სასწავლო კურსები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
მენეჯმენტის საფუძვლები						
ბიზნეს-ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	✓	-	-	-	✓	✓
საზოგადოებასთან ურთიერთობები (PR) მენეჯერთათვის	✓	✓	-	✓	✓	-
ბიზნეს-კომუნიკაციები	✓	✓	✓	✓	✓	-

სასწავლო კურსის ანოტაციები:

აკადემიური წერა

სალექციო კურსის შესწავლა ხელს შეუწყობს სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ანალიზისა და შეფასების გამომუშავების უნარს და მის წერილობით გადმოცემას; საკვლევ პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებას; სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებას და ა.შ. კურსის გავლის შედეგად სტუდენტები შეისწავლიან არგუმენტირებული ესეს, კრიტიკის, ანალიტიკური რეფერატისა და საბაკალავრო ნაშრომების შექმნის ტექნიკას. სტუდენტებს შეეძლებათ წერითი ნამუშევრები წარმოადგინონ საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვირვებული აკადემიური წერის პრინციპების მიხედვით.

უცხო ენა

სალექციო კურსის შესწავლა სტუდენტებს განუვითარებს უცხო ენაზე სამეტყველო და წერითი კომუნიკაციის უნარ-ჩვევა. დახვეწოს მშობლიური ენისაგან განსხვავებული სტილისტური და გრამატიკული მოვლენების გამოყენება.

მიკროეკონომიკა

სალექციო კურსის შესწავლა სტუდენტებს მისცემს გარკვეულ ინფორმაციას მსოფლიოში აღიარებული ეკონომიკური მიმართულებების და სკოლების, ძველი და ახალი ეკონომიკური იდეების სინთეზის საფუძველზე შექმნილ თეორიებზე.

მაკროეკონომიკა

საღეჭიო კურსის შესწავლა სტუდენტებს მისცემს გარკვეულ ინფორმაციას ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობის, მისი კანონების, კანონზომიერებების შესახებ დაეხმაროს სტუდენტებს აითვისონ თეორიული საკითხები.

მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1, 2

სასწავლო კურსის ძირითადი მიზანია სტუდენტი დაეუფლოს მათემატიკის ძირითად საკითხებს, რათა მან შესძლოს იმ ტიპობრივი ეკონომიკური ამოცანების გაანალიზება და ამოხსნა, რომელთათვისაც საჭიროა მათემატიკური აპარატის ცოდნა. აღნიშნული კურსის ამოცანაა სტუდენტებისათვის არა მარტო თეორიული ინფორმაციის მიწოდება, არამედ გამოუმუშაოს საკმარისად ფართო კლასის მათემატიკური მეთოდების პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოყენების უნარ-ჩვევები.

საბუღალტრო აღრიცხვა

სტუდენტებს გამოუმუშავებს ბუღალტრული დოკუმენტების დამუშავების პრაქტიკული უნარი, შესძლოს ბალანსის შედგენა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით

ფინანსების თეორია

ფინანსების თეორიის შესწავლის შედეგად სტუდენტს ექნება აუცილებელი ცოდნა, რომელიც გამოადგებათ ფინანსური პოლიტიკის, ფინანსური ბაზრის, ფინანსური მექანიზმების არსის გაგებაში. სტუდენტს გამოუმუშავდებათ ფულადი რესურსების მობილიზაციისა და ხარჯვის პროცესისადმი სისტემური მიდგომის ჩვევები.

მენეჯმენტი I

საღეჭიო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტები მიიღებენ კომპლექსური ინფორმაციას ორგანიზაციის დონეზე მმართველობითი საქმიანობის თეორიული საკითხების, მეცნიერების მეთოდების და პრინციპების, განვითარების, ორგანიზაციის და მისი გარემოს, აგრეთვე მმართველობითი პროცესის დაგეგმარების შესახებ.

სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის

სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტები მიიღებენ ცოდნას ბიზნეს-გარემოს განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ. ამ ფაქტორებიდან უმთავრესია სოციალ-დემოგრაფიული გარემოს, მაკროეკონომიკური და ბუნებრივი გარემოს, შრომის ბაზრის სტატისტიკა.

ბიზნესის administrirebis საფუძვლები I

სასწავლო დისციპლინა სტუდენტებს მისცემს თანამედროვე ცოდნას ბიზნესის ორგანიზება-მართვის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ.

მარკეტინგი

სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტები მიიღებენ თეორიულ ინფორმაციას მომხმარებელთა ქცევის, ბაზრის, მისი სეგმენტაციის, საქონლის სასიცოცხლო ციკლის, ოპტიმალური ფასწარმოქმნის, სტიმულირების მეთოდების შესახებ, ვინაიდან თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებში აუცილებელია ზემოთაღნიშნული საკითხების ცოდნა.

მენეჯმენტი II

სასწავლო კურსის შესწავლა სტუდენტებს მისცემს კომპლექსურ ინფორმაციას ორგანიზაციის დონეზე მმართველობითი საქმიანობის თეორიული საკითხების, მმართველობითი პროცესის ორგანიზების, მოტივაციის და კონტროლის, ძალაუფლების და ლიდერობის შესახებ.

ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები II

სასწავლო კურსის შესწავლა სტუდენტებს მისცემს ცოდნას ბიზნესის მართვის შესახებ. გამოუმუშავებს მათ მიმდინარე მოვლენების ანალიზის, ასევე მიღებული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების უნარ-ჩვევებს.

ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა

სასწავლო კურსი შესწავლის იმ ძირითად საკითხებს რომელთა ცოდნაც წარმოადგენს ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის სამაგისტრო პროგრამის საფუძველს. ალბათობის თეორიის საკითხების კარგად დაუფლება აუცილებელია მათემატიკური სტატისტიკის კურსის ათვისებისათვის. აგრეთვე იგი შეისწავლის სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაციას, ანალიზისა და გამოყენების მეთოდებს.

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს თეორიულ ცოდნას საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის შესახებ. სტუდენტს გამოუმუშავებს სათანადო ცოდნას ბიზნესის განვითარებაზე, მართვის პროცესზე, მმართველობით სტილზე.

ბიზნეს ინფორმატიკა

სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს თეორიულ ცოდნას ბიზნეს ინფორმატიკის არსში, მის სტრუქტურაში, კლასიფიკაციასა და თვისებებში. სახელდობრ, ეკონომიკურ ინფორმაციაში, მისი დამუშავების პროცედურებში. ეკონომიკური ინფორმატიკის, როგორც ერთ-ერთი დარგის განვითარების პერსპექტივებში. საოფისე პროგრამათა ჯგუფის შესაძლებლობები ეკონომიკური დანიშნულების ამოცანის ამოხსნისას საქმის წარმოების პროცესში – მეწარმული საქმიანობა, კრედიტი, ფულის დაბანდება, მარტივი და რთული პროცენტი; დაგეგმილი თვიური გაყიდვა; ოპტიმალური დაგეგმვა, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა და ა.შ.

ბიზნეს ეთიკა

სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს თეორიულ ცოდნას პრინციპების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ ორგანიზაციაში მუშაკთა შრომის მოტივაციის და ნაყოფიერების ამაღლებას. კურსი დაეხმარება სტუდენტს, იმის გაცნობიერებაში, რომ მენეჯერისათვის მთავარი არის არა მხოლოდ თანამშრომელთა მოტივები და მოთხოვნები, არამედ, სამართლიანობის პრინციპების დაცვა და უკონფლიქტო სიტუაციის შექმნა. რადგან ყველა ორგანიზაციაში არსებობს შინაგანი და გარეგანი კონფლიქტების საფრთხე (მიმწოდებლებთან, მომხმარებელთან, აქციონერებთან). ამდენად კურსის მიზანია დაეხმაროს მომავალ მენეჯერს - ჩასწვდეს კონფლიქტების ბუნებას და მათი გადაჭრის გზებს, ადამიანური ურთიერთობების როლს საქმიან ურთიერთობებში და ეთიკური ბიზნესის სოციალურ როლს.

მცირე ბიზნესის ორგანიზება

სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს თეორიულ ცოდნას ბიზნესის ქმედითი გეგმის შემუშავების, ბიზნესისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოძიების, ბიზნესის ეფექტური დაცვის, ბიზნესში IT-ის გამოყენების და ა.შ. შესახებ.

ფინანსური აღრიცხვა

სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს ცოდნას სამეურნეო საქმიანობაში სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისი გამოცდილების სამეურნეო მოვლენების დაჯგუფების, დოკუმენტაციის, ფულად ფორმაში შეფასების და ანგარიშებში ასახვის კუთხით. აგრეთვე - სტუდენტი შესძლებს სუბიექტის ქონების ბალანსურ განზოგადებას და მასში მიმდინარე ცვლილებების ასახვას.

კორპორაციის ფინანსების მენეჯმენტი

სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს თეორიულ ცოდნას კორპორაციის ფინანსების დონეზე მმართველობითი საქმიანობის საკითხების, კორპორაციის ფინანსური დაგეგმვის და კონტროლის პრინციპების შესახებ.

მენეჯერული აღრიცხვა

სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს თეორიულ ცოდნას მმართველობითი საქმიანობის შესახებ, ტიპურ საწარმოო აღრიცხვაზე, დანახარჯთა კლასიფიკაციაზე.

გადასახადები და საგადასახადო აღრიცხვა

სტუდენტებს მისცემს გარკვეულ ცოდნას: გადასახადებზე, საგადასახადო სისტემაზე, საგადასახადო წარმოებაზე და მის ძირითად სტადიებზე, საგადასახადო განაკვეთებზე, საგადასახადო დეკლარაციებზე.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტი

სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს თეორიულ ცოდნას ორგანიზაციის დონეზე კომუნიკაციური ქსელის ფორმირების, ამ ქსელის სათანადო პერსონალით შევსების, არსებული თანამშრომლობის და ურთიერთკავშირის რეგულირების შესახებ.

ორგანიზაციული მართვა

სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს თეორიულ ცოდნას აღნიშნული დისციპლინის კანონებისა და კანონზომიერებების, მეთოდების, პრინციპების და ფუნქციების, მართვის და ორგანიზების ფუნქციების, ორგანიზაციის პოზიტიური იმიჯის შექმნის და ინფორმაციული უზრუნველყოფის შესახებ.

ფინანსური მენეჯმენტი

სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს თეორიულ ცოდნას ორგანიზაციის ფინანსების დონეზე მმართველობითი საქმიანობის თეორიული საკითხების, საწარმოს ფინანსური დაგეგმვის და კონტროლის პრინციპების შესახებ.

ანტიკრიზისული მართვა

სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს თეორიულ ცოდნას ორგანიზაციებში კრიზისების, მათი დიაგნოსტიკის და მართვის შესახებ.

დროის მენეჯმენტი

სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს თეორიულ ცოდნას თუ როგორ დაგეგმონ დრო პირად, გუნდურ და კორპორატიულ დონეებზე.

ტურიზმის მენეჯმენტის საფუძვლები

ტურისტული ბიზნესი შედის მსოფლიო ეკონომიკის სამი უმსხვილესი საექსპორტო დარგის რიცხვში ნავთობმოპოვების, მრეწველობისა და ავტომობილმშენებლობის შემდეგ. საქართველოს პირობებში, რომელიც გამორჩეულია მსოფლიოში უნიკალური ტურისტული პოტენციალითა და მრავალფეროვნებით, ტურისტული ბიზნესი ამ მხრივ იკავებს პირველ ადგილს. აქედან გამომდინარე აღნიშნული საგნის შესწავლა სტუდენტებს დაეხმარება მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკულ საქმიანობაში.

ბიზნეს ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება

სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს თეორიულ ცოდნას პირადი იმიჯის, დიპლომატიური საქმიანობის, ეტიკეტის და მოლაპარაკებების თეორიულ-პრაქტიკული საკითხების შესახებ.

საზოგადოებასთან ურთიერთობები (PR) მენეჯერთათვის

სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს თეორიულ ცოდნას თუ როგორ ჩამოყალიბდეს ორგანიზაციის ურთიერთობები საზოგადოებასთან, მასობრივი ინფორმაციების საშუალებებთან, მომხმარებლებთან, მუშაკებთან, პარტნიორებთან და ა.შ.

ბიზნეს-კომუნიკაციები

სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს თეორიულ ცოდნას კომუნიკაციების მოდელების, კომუნიკაციების დამყარების უნარ ჩვევების, გასაუბრების მომზადების და პრეზენტაციების ჩატარების, კომუნიკაციების ბლოკირების და ა.შ. შესახებ.